**Minutes of the Coordination Council Working Meeting**

**Minutes №7**

**Tbilisi** **16 December 2025**

On 16 December 2025, a meeting of the Coordination Council of the Legal Entity of Public Law (LEPL) – the National Center for Educational Quality Enhancement (hereinafter – NCEQE) was held via the Zoom platform. The meeting was attended by members of the Coordination Council and representatives of the NCEQE.

The meeting of the Coordination Council was opened by the Acting Director of the NCEQE, Lasha Margishvili, who thanked the Council members for their work throughout the year and for their continued support of the Center. As the elected Chairperson of the Coordination Council was unable to attend the meeting, Tatia Uberi was elected as an Acting Chairperson and Liana Kolkhitashvili was elected as an Acting Secretary of the Council.

Following this, the Deputy Director of the NCEQE, Ketevan Kobakhidze, welcomed the members of the Coordination Council and noted that the current year was intensive and productive for the NCEQE. She highlighted that a number of important documents had been developed and expressed her appreciation for the active involvement of the Coordination Council.

In accordance with the agenda, the head of the Planning, Research, and International Relations Department of the NCEQE, Lasha Zivzivadze, presented a draft Action Plan 2026 of the NCEQE's 2026-2030 Strategy. He noted that work on the Action Plan began in September of the current year and that all structural units of the NCEQE, as well as staff directly subordinated to the Director, were involved in the process. Public consultations were conducted for each thematic area and the feedback received was reflected in the draft Action Plan to the extent possible. During ten days, the draft Action Plan was published on the NCEQE's official website, allowing all interested parties to submit comments and feedback. The draft was also shared with the Coordination Council members, who were given the opportunity to review the planned activities in detail.

Additionally, Zivzivadze noted that during the current year the NCEQE conducted a self-assessment in accordance with the Common Assessment Framework (CAF) methodology. A working group was established to carry out this process, identify key challenges, and develop an Action Plan accordingly. Nineteen priority activities were identified and integrated into the draft Action Plan 2026. The Action Plan outlines activities designed to achieve four strategic goals and fifteen specific objectives.

The Acting Chairperson of the Coordination Council, Ms. Tatia Uberi, put the draft Action Plan 2026 of the NCEQE's 2026–2030 Strategy to a vote and the Council members approved the presented draft.

Proponent: 8

Opponent: 0

According to the agenda, the next topic was about the draft Regulation on the Operation of the Ethics Commission for the Examination of the Activities of the Director, Deputy Director, and Employee of the Audit Department. Lasha Margishvili explained that, in line with ENQA expert panel recommendations and amendments introduced to the NCEQE's Statute, procedures were defined for submitting complaints against the Director, Deputy Director and Audit Department employee of the NCEQE. Complaints may relate to violations of internal regulations and/or legislative acts governing the NCEQE's core activities. The Coordination Council shall establish an Ethics Commission to review complaints and adopt relevant decisions. At least ½ of the members of the Ethics Commission shall be drawn from the Coordination Council. The Commission may also include representatives of the Ministry of Education, Science and Youth of Georgia, as well as experts in the field of education. The NCEQE has developed a standardized complaint submission form, which will be published on the NCEQE's official website.

The Acting Chairperson of the Coordination Council, Tatia Uberi, put the presented draft to a vote, and the Council approved it.

Proponent: 8

Opponent: 0

In accordance with the agenda, the Deputy Head of the Higher Education Quality Assurance Department, Ketevan Inanashvili, presented the draft Code of Ethics for the Authorization Councils of General, Vocational, and Higher Education Institutions, the Accreditation Councils for Educational Programs, and the Appeals Councils. The document responds to the recommendations of the ENQA expert panel and complies with the requirements of ESG 3.3 and 2.5. The Code ensures transparency and reasoned decision-making in the processes of Authorization, Accreditation, and Appeals Councils. The Councils are obliged to clearly justify their decisions. The subsequent issue concerned the draft complaint submission form, as well as the rules and conditions for drafting and reviewing complaints against members of the Authorization, Accreditation, and Appeals Councils. The procedure for reviewing such complaints shall fall under the responsibility of the Coordination Council. The decision to establish an Ethics Commission is made by the Coordination Council, and the Commission shall include members of the Coordination Council (constituting no less than half of its composition) as well as employees of the NCEQE. Representatives of the Ministry of Education, Science and Youth of Georgia and education experts may also be included in the Commission, though their

participation is not mandatory. The Ethics Commission submits its conclusions to the Coordination Council and based on the Council's recommendation, the Director of the NCEQE adopts the relevant decision.

The Acting Chairperson of the Coordination Council, Tatia Uberi, put the presented draft documents to a vote, and the Council approved them.

Proponent: 8

Opponent: 0

Lasha Zivzivadze declared the meeting closed and thanked the Council members for their cooperation and support.

**Annex 1**

| Name, Surname | Position | Coordination Council Role |
|---|---|---|
| Tatia Uberi | Representative of the Association of Georgian Student Organizations (N(N)LE); PhD candidate at the Law School of Caucasus University LLC | Acting Chairperson |
| Liana Kolkhitashvili | Director, Training Lab LLC | Acting Secretary |
| David Gordon | Emeritus Professor, Faculty of Medicine, University of Manchester | Council Member |
| Tinatin Tkemaladze | Dean, Faculty of Medicine, LEPL Tbilisi State Medical University; Head of the Department of Molecular and Medical Genetics; Professor | Council Member |
| Giorgi Chumashvili | Representative of the Georgian Employers' Association (N(N)LE); General Director, Tineti LLC | Council Member |
| Maia Akhvlediani | Associate Professor, Faculty of Education, LEPL Akaki Tsereteli State University | Council Member |
| Maia Rukhadze | Chemistry Teacher, LEPL Public School No. 221 of Tbilisi | Council Member |
| Tamta Grigolia | Subprogram Manager, "Development of the National Curriculum and Implementation of State Standards in Preschool and School Institutions for National Minorities," within the Program "Development of the National Curriculum and School Textbooks," Department of Preschool and General Education Development, Ministry of Education, Science and Youth of Georgia | Council Member |

**საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი**

**სამუშაო შეხვედრა**

**შეხვედრის ოქმი №7**

**ქ. თბილისი** **16.12.2025**

2025 წლის 16 დეკემბერს, Zoom პლატფორმის გამოყენებით, გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, რომელსაც საკოორდინაციო საბჭოს წევრები და ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა - ლაშა მარგიშვილმა გახსნა. მან საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა, წლის განმავლობაში, გაწეული საქმიანობისთვის და ცენტრის მხარდაჭერისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ საკოორდინაციო საბჭოს არჩეული თავმჯდომარე ვერ ესწრებოდა სხდომას, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად არჩეულ იქნა თათია უბერი და მდივნის მოვალეობის შემსრულებლად, ლიანა კოლხიტაშვილი. აღნიშნულის შემდეგ, ცენტრის დირექტორის მოადგილე, ქეთევან კობახიძე, მიესალმა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ მიმდინარე წელი იყო ცენტრისთვის დატვირთული და ნაყოფიერი, შემუშავდა ბევრი მნიშვნელოვანი დოკუმენტი და მადლობა გადაუხადა საკოორდინაციო საბჭოს ჩართულობისთვის.

დღის წერსიგის შესაბამისად, ცენტრის დაგეგმვის, კვლევის და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ლაშა ზივზივაძემ წარადგინა ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგიის 2026 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. მან აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაზე მუშაობა მიმდინარე წლის სექტემბერში დაიწყო და პროცესში ცენტრის ყველა სტრუქტურული ერთეული და დირექტორს დაქვემდებარებული პირი იყო ჩართული. ჩატარდა საჯარო განხილვები თითოეული მიმართულებით და მიღებული უკუკავშირები შეძლებისდაგვარად აისახა სამოქმედო გეგმის პროექტში. ათი დღის განმავლობაში სამოქმედო გეგმის პროექტი განთავსებული იყო ცენტრის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ მხარეს შეეძლო უკუკავშირის მიწოდება. პროექტი ასევე გაგზავნილი იყო საკოორდინაციო საბჭოსთან და მათ ჰქონდათ შესაძლებლობა დეტალურად გასცნობოდნენ აქტივობებს. დამატებით, ლაშა ზივზივაძემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ცენტრმა განახორციელა თვითშეფასება ერთიანი შეფასების ჩარჩოს (CAF) მეთოდოლოგიის შესაბამისად. შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც იმუშავა აღნიშნული მიმართულებით, გამოკვეთა ძირითადი გამოწვევები, რომლის შესაბამისად დაიგეგმა სამოქმედო გეგმა. განხორციელდება 19 აქტივობის პრიორიტეტიზაცია და აღნიშნული აქტივობები ინტეგრირდა ცენტრის 2026 წლის სამოქმედო გეგმის პროექტში. სამოქმედო გეგმაში მოცემულია სტრატეგიის ოთხი მიზნის და 15 ამოცანის განხორციელების მიზნით შემუშავებული აქტივობები.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოვალოების შემსრულებელმა, თათია უბერმა, კენჭისყრაზე დააყენა ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგიის 2026 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი და საბჭოს წევრებმა დაამტკიცეს წარდგენილი პროექტი.

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

მომდევნო საკითხი ეხებოდა ცენტრის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, აუდიტის სამსახურის თანამშრომლის საქმიანობის შემსწავლელი ეთიკის კომისიის საქმიანობის წესის

პროექტს. ლაშა მარგიშვილმა, აღნიშნა, რომ ENQA-ს რეკომენდაციის შესაბამისად, ცენტრის დებულებაში შესული ცვლილებების მიხედვით, გაიწერა ცენტრის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, აუდიტის სამსახურის თანამშრომლის მიმართ ცენტრში საჩივრის წარმოდგენის პროცედურები. საჩივარი შეიძლება ეხებოდეს ცენტრის შინაგანაწესით გათვალისწინებული ნორმების ან/და ცენტრის საკანონმდებლო აქტების დარღვევას, რომელიც ეხება იმ ძირითად საქმიანობას, რომელსაც ცენტრი ახორციელებს. საკოორდინაციო საბჭო შექმნის ეთიკის კომისიას, რომელიც მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას საჩივართან დაკავშირებით. ეთიკის კომისიის შემადგენლობის არანაკლებ ½ დაკომპლექტდება საკოორდინაციო საბჭოს წევრებით, ასევე შესაძლებელია შედგებოდეს საქართველოს, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლებისგან და განათლების სფეროს ექსპერტებისგან. ცენტრმა შეიმუშავა საჩივრის შესაბამისი ფორმა, რომელიც განთავსებული იქნება ცენტრის ვებ-გვერდზე.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, თათია უბერმა, კენჭისყრაზე დააყენა წარდგენილი პროექტი და საბჭომ შეითანხმა.

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

დღის წესრიგის შესაბამისად, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა, წარადგინა ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოების საქმიანობის ეთიკის კოდექსის პროექტი. დოკუმენტი პასუხობს ENQA-ს ექსპერტა პანელის რეკომენდაციებს, ESG 3.3. და 2.5 მოთხოვნებს. დოკუმენტი უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის და სააპელაციო საბჭოების გადაწყვეტილებების გამჭირვალობას და არგუმენტაციას, საბჭო ვალდებულია ნათლად დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება. შემდეგი საკითხი ეხებოდა ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და სააპელაციო საბჭოების წევრების მიმართ წარსადგენი საჩივრის ფორმის, საჩივრის შედგენისა და განხილვის წესის პროექტს და პირობებს. საბჭოების მიმართ წარდგენილი საჩივრების პროცედურა იქნება საკოორდინაციო საბჭოს პასუხისმგებლობის ქვეშ. ეთიკის კომისიის შექმნის გადაწყვეტილებას იღებს საკოორდინაციო საბჭო და კომისიის შემადგენლობაში შედიან საკოორდინაციო საბჭოს წევრები, არანაკლებ კომისიის ½ და ცენტრის თანამშრომლები. ასევე შესაძლებელია კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომანდენლები და განათლების ექსპერტები, თუმცა აღნიშნული არ არის სავალდებულო. ეთიკის კომისია თავის დასკვნას უგზავნის საკოორდინაციო საბჭოს და საბჭოს მიმართვის საფუძველზე ცენტრის დირექტორი იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოვალოების შემსრულებელმა, თათია უბერმა, კენჭისყრაზე დააყენა წარდგენილი პროექტები და საბჭომ შეითანხმა.

მომხრე: 8

მოწინააღმდეგე: 0

ლაშა ზივზივაძემ სხდომა დასრულებულად გამოაცხადა და მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

**დანართი 1:**

| სახელი, გვარი | პოზიცია | საკოორდინაციო საბჭო |
|---|---|---|
| თათია უბერი | ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის წარმომადგენელი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი. | საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი |
| ლიანა კოლხიტაშვილი | შპს „ტრენინგ ლაბის“ დირექტორი | საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულებბი |
| დევიდ გორდონი | მანჩესტერის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ემერიტუსი პროფესორი. | საბჭოს წევრი |
| თინათინ ტყემალაძე | სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი | საბჭოს წევრი |
| გიორგი ჩუმაშვილი | ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელი, შპს ,, თინეთის“ გენერალური დირექტორი | საბჭოს წევრი |
| მაია ახვლედიანი | სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; | საბჭოს წევრი |
| მაია რუხაძე | სსიპ - ქალაქ თბილისის №221-ე საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი | საბჭოს წევრი |
| თამთა გრიგოლია | საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტში „ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სახელმძღვანელოების განვითარების" პროგრამის „ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში" ქვეპროგრამის მენეჯერი | საბჭოს წევრი |

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

საკოორდინაციო საბჭო

მდივნის მოვალეობის შემსრულებელი

კოლხიტაშვილი ლიანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

საკოორდინაციო საბჭო

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

უბერი თათია